ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4420052

ნომერი: AR1663608

თარიღი : 22.02.2019

გაცემის თარიღი : 19.03.2019

გაცნობის თარიღი : 19.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობის II,III და IV მ/რ-ის მიმდებარედ(ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ ნაკვეთი N40); ქალაქი თბილისი , ქუჩა ელგუჯა ამაშუკელი , შესახვევი I , N 34 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანტონ ზურაბიშვილი პ/ნ 01024033087
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 26 ბ. 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019

წლის 22 თებერვალს №AR1663608 განცხადებით მომართა ანტონ ზურაბიშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძის ფერდობის II,III და IV მ/რ-ის მიმდებარედ (ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ ნაკვეთი N40)/ ქალაქ თბილისში ელგუჯა ამაშუკელის ქუჩაზე, I შესახვევში, N 34-ში, მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.16.015.402) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 31 ივლისიდან 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 27 ნოემბრის № 4280752 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდა შპს ,,ელმულლა'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405164441).
სამსახურის 2019 წლის 18 თებერვლის № 4379959 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებაში და სარდაფის ფართობად დაფიქსირდა 44.5 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდა 4355.2 კვ.მ, ასევე, სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებით შეთანხმებული -12.500, -9.900, 0.000 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდა 2019 წლის 23 იანვარს №AR1657104 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ: საერთო ფართობად 4355.2 კვ.მ-ის ნაცვლად 4355,3 კვ.მ-ის, საცხოვრებელ ფართობად 1655.7 კვ.მ-ის ნაცვლად 1655,8 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებაში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 4355.3 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 1655,8 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.